№ 65 24 მარტი, შაბათი 1866—1879 24 მარტი, შაბათი № 65

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ზ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Д р о э б а“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: ლექსიკონებით ახოზე—1 კაპ., ახლ-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოდის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე ზ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Д р о э б а“.*

### გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა — — — 5 მან.
სამის თვისა — — — 3 „
ერთის თვისა — — — 1 „

პირველი აპრილიდამ წლის დამლევამდინ 6 (ექვსი) მან.

ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნესრედაქციაში წარმოდგენილი

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 21 მარტს. უმაღლესი მთავრობა აპირებს განკარგულების გამოცემას, რომ კათოლიკების სემინარიებში ყველა საგნების სწავლება რუსულს ენაზედ იყოს.

ბერლინი, 20 მარტს. ჯერ კიდევ არ არის გარდაწყვეტილი—თუ, რუსების გამოსვლის შემდეგ, რომელი სახელმწიფოების ჯარები უნდა იყვნენ აღმოსავლეთ რუმელიაში ჩაყენებულნი.

სტამბოლი, 21 მარტს. ოსმალეთის მთავრობამ შეადგინა პროექტი თავის ევროპიულ პროვინციების რეფორმებისა.

სულთანმა მოაწერა ხელი ირადეს (განკარგულებას), რომლის ძალითაც ხასსანი ითვლება სომხების საეკკლესიო ძმობის მთავრად.

ოდესსა, 21. მარტს. გუშინ გრაფ ტოტლებენი და თ. იმერეთინსკი პეტერბურღში წავიდნენ აქედამ.

ლონდონი, 21 მარტს. ერთს აქაურს გაზეთში იწერებიან, ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტაო, რომ 5,000 კაცი ჯარი გაგზავნონ აღმოსავლეთ რუმელიაში.

ვენა, 21 მარტს. „პოლიტიკის“ დეპეშა: იტალია თანახმაა, რომ სხვათა შორის თავის ჯარებიც გაგზავნონ რუმელიაში.

ტირნოვო, 21 მარტს. ბოლგარიის ნაციონალურმა კრებამ ბოლგარიის კონსტიტუციის პროექტისა; კრებამ გადაწყვიტა, რომ მუდამ დღე იქონიოს სხდომები.

პეტერბურღი, 21 მარტს. მომავალ კვირაში მოელიან აქ გრაფ ლორის-მელიქოვის დაბრუნებას ასტრახნიდამ.

## საქართველო

### დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ თფილისის ფრანცუზები აპირებენ სპექტაკლის გამართვას დამშეულ ჭობულეთლების სა-

## ფელეტონი

### თვეთა ქება (*)

გამოცხადდა იანვარი
ახალ წელიწად დღესა;
ძველ ანგარიშებს აბარებს
ქრისტიშობის თვესა!

—

იწყებს ახალ ანგარიშებს,
ახალ დავთარს სწერსა,
და ამაყათ ის თავს იქებს:
„ვჯობვარ ყველა თვესა!“

—

თებერვალი მას ყურს უგდებს,
ჯავრით ანძრევს წვერსა:
„უყურეთ ამ მყრალ იანვარს,
ამ ფინთს, საძაგელსა!“

—

„ცუდი ამინდით და თოვლით
გაწყევლინებს ბედსა;
საქმეს არ გაკეთებინებს
სმის და ჭამის მეტსა!

—

„მე ვჯობივარ ამას და მარტს,
იმ გრიყვს, ჭკუა-თხელსა!“
ამას რომ მარტი შეიტყობს,
დანით იჭრის ყელსა!

—

„ვის უბედავ, თებერვალო,
ვის კადრებ „ჭკვა-თხელსა“?
შენ ჩემზე კარგი არა ხარ,
ტყვილა ყბედობ ბევრსა!

—

„ცუდ კაცად მე რათ დამსახეთ,
ვჯობნი ყველა თვესა:
დღეში სამჯერ გავათოვლებ,
გამოვიყვან მზესა!

—

მუშა კაცს გულს ვუხალისებ,
საქმეს ჰკიდებს ხელსა;
ფრინველებს, პირუტყვს ვათამაშებ
მსუქანს, გინდა მჭლესა!“

—

აპრილი ეტყვის: „რას ამბობ,
ათჯერ იცვლი ზნესა
დღეში, ათჯერ ვაგიჟდები,
ვაი შენს გამძლესა!“

—

მარტი: „რადგანაც ესეთი ვარ,
მწამებთ ყველაფერსა,—
მაცა, თუ მე თქვენ რას გიზამთ,
გაცვლევინებთ ფერსა!

—

„ისე მოვსწვავ ყველა ნამყოფს,
ძირიც აღარ ჩნდესა!“
აპრილი რო გაიგონებს,
გულში ჩაფიქრდესა:

—

„მაგდენი ჭკუა ვინ მისცა,
პი არ გაგიჟდესა!
ბეჩა, მარტო, გეხუმრები,
მოდი შევრიგდეთა!

—

„მწვანე ბალახს კარგს მოვიყვან,
პირუტყვს მოგირჩენსა,
ასე მეტყვიან ყველანი:
„ვმადლობთ შენს გამჩენსა!“

—

მარტმა უთხრა: „მე ხვალ მივალ,
არას გაწყენთ დღესა;
მოგაგონებთ ყოველივეს
მე მომავალ წელსა!“

სირბილაძე-ბედკრულაძე

ქახეთი, 1879 წ.

(*) ეს ლექსი გავიგონე იმერეთში და ასე შევცვალე. ავტ.

სარგებლოდ. უნდა ითამაშონ ფრანცუზული კომედია და ამასთანავე ამზადებენ ქართულ სიმღერასაც.

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენთვის ძალიან, ძალიან სასიამოვნოა ამგვარი თანაგრძნობა ჩვენს ქვეყანაში ჩამოსტუმრებულ ფრანცუზების მხრით.

** ბათუმიდამ მივიღეთ ამბავი, რომ ამ ჟამად მთელს ბათუმის მაზრაში სრული მშვიდობიანობა არისო და მას აქეთ რაც აჭარელი ოსმან-ფაშა გამოცვალეს ტრაპიზონის ფაშობისაგან, აქეთკენ არაფერი ისმის იმაზედაო, რომ მოლლები ან სხვა ვინმე ოსმალეთიდამ მოსული აგენტები დაიარებოდნენ და ოსმალეთში გადასახლებას ურჩევდნენ ხალხსაო.

** ამბობენ, რომ შავს ზღვაზე ამ რამდენიმე უკანასკნელი დღის განმავალობაში საშინელი ღელვა და ფურთნა არისო ასე, რომ ფოთიდამ გემები ვეღარ იძვრიანო და ფოთში მომავალი გემებიც პირ-და-პირ ბათუმის ნავსადგურში შედიანო.

ჩვენ გავიგონეთ აგრეთვე, რომ ამ სამ-ოთხი დღის წინათ ორი დიდი ნავი დაღუპულა ფოთის მახლობლად ზღვაში; ერთს ამ ნავთაგანში რამდენიმე კაციც ყოფილა, მეორე ნავიდამ ხალხი კი დაუხსნიათ, მაგრამ თვითონ საქონლით დაძირულა ზღვაში.

** „ტფილისის მოამბეში“ მოყვანილია ერთის ფრანცუზულის გაზეთიდამ შემდეგი ცნობები იმ ქართველების შკოლაზე, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, დიდი ხანია დაარსებულია სტამბოლში:

„19 მარტს 1876 წელს, წმ. იოსების დღესასწაულის დროს დიდძალი ხალხი დაესწრო კათოლიკე ქართველების ეკკლესიაში ქართულს ენაზედ წირვას. სხვათა შორის იყვნენ სამი მღვდელი (პრიმასსი) ქართველ კათოლიკეებისა: მონსიონერი ჶრასსერი, არხიეპისკოპოსი დე-ჶოლოსირ, ვიკარი ტესტა და სხვ. წირვის დროს ქართულად გალობდნენ; ქართთლი გალობა საამო სასმენელი და ხმოვანი გალობა ყოფილა.

„წირვის შემდეგ ამ ქართველთ ეკკლესიის დამაფუძნებელმა და უფროსმა მამა პეტრე ხარისჩარაევმა და ერთმა სხვა პატერმა წარმოსთქვეს ქართულად ქადაგება.

„ამ შესანიშნავს მონასტერთან გამართულია ორი შკოლა: ერთი სავაჟო და მეორე საქალო, რომლებშიაც მასწავლებლები ქართულად ასწავლიან ყველა საგნებსა. ეს შკოლები ამ თხუთმეტი წლის წინათ არიან დაფუძნებული; ამ ჟამად ორივე შკოლაში ას-ოც შეგირდამდინ ითვლება თითქმის ყველა ქართველები, თუმცა სომხები და ბერძნებიც ურევიან, რომელნიც აგრეთვე ქართულად სწავლობენ.

„ამ პატარა კონგრეგაციას (ძმობას) დიდ-ძალი ფული აქვს. მიზანი ძმობისა არის, ნაციონალური გრძნობის აღძვრის საშუალებით, ფრანგობის გავრცელება ოსმალოს ქართველებში.“

** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ გაზეთში შემდეგი ანგარიში:

„წარსულს 4-ს თებერვალს ამ 1879 წელსა იყო ბალი ტფილისის ჶრუჟოკში სასარგებლოთ იმ შკოლისა, რომელიც გაიხსნა 6-ს თებერვალს კეთილშობილთ საზოგადოებისაგან. ამ ბალიდგან შემოვიდა ერთიანათ ათას-ორას-ოთხმოც-დაცხრა მანეთი და ათი შაური. აქედგან დაიხარჯა: მუზიკანტებზედ 70 მანათი, საზანდრებზედ 40 მანეთი, ჶრუჟოკს მიეცა ზალებისათვის და სხვა წვრილი ხარჯი 39 მანეთი და 50 კაპეიკი, ბილეთების და აფიშების დასაბეჭდათ 9 მანათი; სულ ხარჯი 158 მანეთი და 50 კაპეიკი; დარჩა შემოსავალი წმინდა ბალიდგან, სასარგებლოდ შკოლისა, 1131 მანეთი. ეს ფული შკოლის კასსას მოემატა“.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

---

**სოფ. მეტეხი** (გორის უეზდის), 19 მარტს. ვერაფერი ამბავი ხდება, შენმა მზემ, ამ ჩვენ სოფელში! თვეზე მეტია, რაც ჭვლებმა ლამის ამოგვჭლიტოს. იხოცება ხალხი და პატრონი კი არავინა გვყავს. ზაგონილა ასე თავ მინებება? არც ლეკრიო, არც დოხტურიო. ძაღის კნუტები ხომ არა ვართ, ხალხი ვართ.

ვერ მოვითმინეთ ეს ანგარიში, შენი ჭირიმე, და ბევრის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ქვეყნისთვის შეგვეტყობინებინა ჩვენი მწუხარება. ხარი და საქონელი რამდენი გეხოცებათ შაგვატყობინეთო, მთავრობა გვიბრძანებდა, და ჩვენ ხო ხალხი ვიყავით! ზამოვგზავნეთ აქედან გაზეთი, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ ერთი დოხტურიც არის იქნება მეეშველებინათ, იმედი მაინც გვექნებოდა. ჰა?! ასეთი გაზეთი დავაწერინეთ რუსულათა, რომ უსათოოთ ლეკრი უნდა მოგვშველებოდა. აკი მოგვიმართა ღმერთმა ხელი და ერთ დღეს თქარა-თქურით მოგვადგა კარს კარეტა ჩვენის მაზრის დოხტურისა უფ. საკოვისა. თურმე გაუჭრია: ღუბერნატორს ასე შაუხურებია ჩვენი ვეზდის ნაჩალნიკი, რომა შენი მოწონებით. ნაჩალნიკმაც, შენ ხარ ჩემი ბატონი, დაიბარა ჩვენი მამასახლისი და სულ დავთრები დაებნია:—შე ასეთ ისეთო, რატო არ მატყობინებ, თუ თქვე სოფელში ავანთყოფები იყოო, ეხლავ ციხეში ჩაგსომ, თუ მართალიაო!

მამასახლისი დაბრუნდა თუ არა, კამპანია შაიდგინა, შენი ჭირიმე, ჩვენი ღვდლისაგან და მწერლისაგან, კაი სულები არიან ესენი, ღმერთმა ისეც უშველოთ! თითონ მამასახლისი ვისაც გლეხ კაცს შეჰხვდებოდა, ეუბნებოდა: „არა სთქვათ თუ ავანთყოფობა არისთქო, თორემ ვაი თქვენ ტყავს! თუ გაგვიხდიან საქმეს, რომ კარანტინებს შეგვიკრავენ, ტყეში ველარ წავალთ და მინდორშიო; ქალიდამ კაცამდის სულ ლოშპიტალში გაგვგზავნიანო.“

ნათელი საქმეა, რომ გლეხებს ვეღარავინ ვერ გაგვტეხდა, მართლაც დოხტური რომ მოვიდა, ნახევარ საათი დარჩა; მაგრამ, შენი ჭირიმე, გორელი მკვდრები იმან შეჭამა, ჩვენსას როგორღა შეეჭმევდით და ერთიც არავინ მივედით. აბა ჩვენი ხალხი და მისვლა,—რო დაინახეს, რო იმ დალოცვილმა დოხტურმა მაშინვე პრაგონი მოითხოვა—ვერსზე სამი მანეთი; მერე თქო წამალიც უნდა იყიდოთო.. მოვიდა მამასახლისიც, თავისი კამპანიათი ღვდლით და ჩვენი მწერლით, სხვა ერთი გლეხი არ იყო, არც ერთი პატიოსანი კაცი. მამასახლისს დოხტურმა მაშინვე ფეხები დაუბრაგუნა: „ორი თვე ციხეში ჩაგალპობენ, რო ნაჩალნიკს არ აცნობეო!“ წინ წადგა, ბატონო, ჩვენი მწერალი და მოახსენა: „რომ მე კარგა ვიცი ეგ, კვარტალის პოპოშნიკი ვიყავ და მაგ მიწერ-მოწერაში ჩასპანდი ვარო, მაგრამ ჩვენში ავანთყოფობა არ ყოფილა, თორემ იმ დღეს არ იყო ხარები იხოცებიანო მივწერეო“... ის კი არა და თითონ კი ბიძაშვილი ქალი ჰყვანდა შეწუხებული მჭვლით, მამასახლისის სახლშიაც სამი იყო ავათ იმ საათს; იქვე, ერთ დიაკვანს სამი ჰყვანდა ერთათ ავათ სახლში, შენი ჭირიმე! და დოხტურის წასვლის შემდეგ ერთიც მოკვდა კიდეც.

დოხტური სუ იმას ცხარობდა, ჩქარა უნდა წავიდე, გორში საქმე მაქვსო; ერთხელაც მაგრე ქნა ამ დალოცვილი შვილმა, საქონლის ჭირმა ერთი საქონელი ალარავის შეგვარჩინა, ჩიტივით დაფრინავდა დროშკით სოფლებში და ერთ წამს იტყოდა: „თხლე აჭამეთ ავანთმყოფ საქონელს, მორჩებაო! ისრე ის მორჩეს! მუსრი გაავლო ჭირმა!

აბა ნახევარ საათს რა უნდა გაეგო! ღმერთმა მშვიდობა მისცეს და რა მოჰქონდა, რა წაიღო იმ დოხტურმა.. ერთმა ღვდელმა უთხრა, რომ ბლომათ დაიხოცაო და მეორემ, რომელიც კამპანიაში ერია, თქვა, რომ ცხრა მოკვდა ერთ კვირაში, მაგრამ ბებრებიო—ისე სიმართლით იმას უშველოს ღმერთმა!

რას უნდა მოველოდნოდით ჩვენ მწერლისაგან: სუდი ჩვენში არ არის და სამართალი, იმის წყალობით; დაუხურამს წითელი კაკარდიანი ქუდი, ჩვენი ხალხი შიშით კანკალებს იმის წინ; სუდი ლამ-ლამე სულ იმის სახლშია უსუდიებოთ. წიგნები კანცელარიის ტყვეთა ჰყავს იმას და შიგ, როგორც უნდა, ისე ჩაჰსწერამს. ხალხს სული აღარ გვიდგა იმისაგან: გვართმევენ ქათმებს, ფულს ინდოურებს,—ნეტა ამისთანა უბედურება ასცილდება სოიდამმე მეტეხს?!..

მეტეხელი გლეხი

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი და ავღანი

ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 15 მარტს ტაშკენტიდამ მიღებული:

„თურქისტანის გენერალ-გუბერნატორმა კაუფმანმა გამოაცხადა, რომ რუსეთის მხრით ინგლისს არავითარი დაბრკოლება არ ექნება ავღანის საქმის გათავებაშიო; ინგლისს შეუძლიან აიღოს და დაიპყრას ჰერატიო და დარწმუნებული იყოსო, რომ რუსეთი ხმასაც არ ამოიღებს ამ შემთხვევაშიო.“

— ამავე გაზეთის სიტყვით, ავღანში გაგზავნილს ინგლისის ჯარს ბრძანება მოუვიდა, რომ, თუ პირველ მაისამდინ მორიგება არ მოხდა ინგლისსა და იაკუბხანს შუა, მაისში ეს ჯარი ავღანის სატახტო ქალაქის—ქაბულის ასაღებად უნდა წავიდეს ლაშქრად.

## გერმანია

გერმანიის პარლამენტმა (რეიხსტაგმა) ერთხმად მიიღო დეპუტატის შნეგანსის წინადადება, რომ 1870 წლის ომის დროს დაპყრობილს საფრანგეთის პროვინციებში, ელზასში და ლოტარინგიაში, დაწესდეს საკუთარი პარლამენტი, რომელსაც ექმნეს უფლება, რომ თვითონვე განაგოს თავის შინაური ეკონომიური, ხალხის განათლებისა და სხვა საქმეები.

---

## რუსეთი

პეტერბურგის გაზეთებში იწერებიან, რომ ამ მოკლე ხანში იქაურ პოლიციას აღმოუჩენია ორი საიდუმლო ტიპოგრაფია, რომლებშიაც იბეჭდებოდნენ ამ უკანასკნელ დროს სხვა-და-სხვა პროკლამაციები, რევოლუციური ბროშურები და საზოგადოთ მთავრობისაგან აკრძალული წიგნები. ერთი ამ სტამბათაგანი აღმოჩენილა თვით პეტერბურგში პოლკოვნიკის ზინოვიევის სადგომში; მეორე ვალადაის კუნძულზე იქაური დამოქნის ერთის ჩინოვნიკის სახლში. ორივე ესენი და ბევრი ამათი ნაცნობები დატუსაღებული არიან; ამათი სტამბებიც, რასაკვირველია, იმწამსვე დაბეჭდეს და წაიღეს. ამ საქმის გამო, როგორც ამბობენ, ძალიან ბევრი არიან თურმე დატუსაღებული პეტერბურგში, მოსკოვში, ოდესსაში, ხარკოვში და სხვ.

---

# სამართალი

---

## ურიების საქმე

### ქუთაისის ოლქის სასამართლოში

#### საღამოს სხდომა 12 მარტს.

**ლოლუას სიტყვა.** უფ. მოსამართლენო! ამ საქმემ, რომელზედაც თქვენ სჯით დღეს, აალელვა ჯერ ჩვენი მხრის ურიები, მერე მთელი კავკასიისა და შემდეგ რუსეთისაც. რად ეშინოდათ ურიებს? რა აღელვებს იმათ? ნუთუ სასამართლო მტერია იმათი? ნუთუ იმედი არა აქვსთ სამართლიანად საქმის გადაწყვეტისა?

„თქვენს განჩინებას, უფ. მოსამართლენო, ექნება ძალა და მნიშვნელობა არა თუ მარტო ამ ბრალდებულ ურიებისათვის, არამედ მთელ ურიის ხალხისათვის. ჩვენში რამდენიმეჯერ იყო ამისთანა შემთხვევა და ყოველთვის დამტკიცდა, რომ ურიებს ტყუილა აბრალებდნენ ამ საძაგელ საქმეს. მოიგონეთ სურამის საქმე, რომელიც ამ ორი წლის წინათ მოხდა და როდესაც ვითომ-ურიებისაგან მოტაცებული ბავშვი იქვე ნახეს მეზობელთან.

„მაგრამ გადავიდეთ პირ-და-პირ ამ საქმის გარემოებაზე. წვრიმალ გარემოებას მე არ შევეხები აქ; მხოლოთ უფრო შესამჩნევ ფაქტებზე ვილაპარაკებ:

„რა მოხდა? რა დაემართა სარრა მოდებაძეს? რისგან შესდგა ეს საქმე? უეჭველი ფაქტები არიან: სარრა მოდებაძისა მივიდა ცხადაძისას. ცოტა ხანს შემდეგ იქიდამ წამოვიდა ვიწრო გზით და შინ აღარ დაბრუნებულა. მესამე დღეს, 6 აპრილს, სარრა მკვდარი ნახეს.

„ორში ერთი უნდა მივიღოთ: ან სარრას დაებნა გზა ნისლიან საღამოს და მოკვდა, და ან ვინმემ მოკლა. მაგრამ, რადგან ბეჯითად არ არის დამტკიცებული, რომ ის მოკლულია, ამის გამო ეს შემთხვევა ბრალდებულების სასარგებლოდ უნდა ახსნას სასამართლომ და გაამართლოს ისინი.

„სასამართლოს აქვს ორი ექიმის შემოწმება იმაზე—თუ როგორ უნდა მომკვდარიყო სარრა. ექიმი ზერნო ამტკიცებს, რომ სარრა დამღრჩვალიაო. ექიმის ზულბინსკის აზრითაც, სარრას ისეთი ნიშნები ჰქონდა, რომ შეიძლება ის დამღრჩვალიყოს.

„გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ცხადაძიდამ წამოსვლის შემდეგ ის ჯერ გამოსულა პატარა ვიწრო გზაზე და შემდეგ საძალლიხევის შარა-გზაზე. მაგრამ არც ერთი მოწამე არ არის, რომელიც ამტკიცებდეს, ენახე ურიებმა ბავშვი რომ მოიტაცესო. არ არის აგრეთვე არც ის დამტკიცებული, რომ ნამდვილად ბავშის ხმა გაეგონოს ვისმე..“

შემდეგ უფ. ლოლუა შეუდგა მოწმეების ჩვენების გამტყუვნებას და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მოწმეები ამ შემთხვევაში ან აშკარა ტყუილს ამბობდნენ და ან მოჩვენებით, ფანტაზიით ლაპარაკობდნენ.

„მე სრული იმედი მაქვსო, სთქვა ბოლოს უფ. ლოლუამ, რომ სასამართლო გაამართლებს ბრალდებულებს, რადგან იმათ წინაამდეგ არც ერთი მკვიდრად დამტკიცებული საბუთი არ წარმოუდგენია უფ. პროკურორსა და არც აღმოჩენილა აქ გამოძიების დროს. ვთხოვ სასამართლოს, როდესაც კითხვით პუნქტებს არდგენდეს, სხვათა შორის შემდეგი კითხვაც ჩაურთოს: მოხდა ამ შემთხვევაში დანაშაულობა, თუ არა?

**უფ. ქიქოძემ** სთქვა, რომ ამ მშვენიერი სიტყვების შემდეგ, რომელიც უფ. ალექსანდროვმა და კუპერნიკმა წარმოსთქვეს, მე ეს საქმე სრულიად გამოკვლეულად და აშკარად მიმაჩნიაო და ამის გამო საჭიროდ აღარ ვრაცხ ტყუილუბრალოთ ვილაპარაკო და მოსამართლეები შევაწუხოვო.

**პროკურორის მალაჩეევის მეორე სიტყვა.** რაც ვსთქვი, იმის მისამატებელი სათქმელი მე არა მაქვს-რა, გარდა იმისა, რომ მეც წამიკითხავს ხვოლსონის წიგნი, რომელიც ამტკიცებს, რომ ურიებს ქრისტიანის სისხლი არ ეჭირებათო, მაგრამ ამ წიგნსა სრულებით ისეთი შთაბეჭდილება არ იქონია ჩემზე, როგორიც უფ. კუპერნიკზე. უფ. კუპერნიკმა მოიყვანა ნაპოლეონ პირველის ეგვიპტეში წარმოთქმული სიტყვა, როდესაც თავის ჯარს უთხრა, რომ „ამ პირამიდებიდამ ორმოცი საუკუნე შესცქერის თქვენს მოქმედებასაო!“ ამაზე მე შემიძლია მოვიყვანო მეორე სარდლის—ველინგტონის სიტყვა, რომელმანც სთქვა: „მე მეზიზღება ფრაზები!“

სასამართლოს თავსმჯდომარემ ბრალდებულთ დამცველებს მიმართა კითხვით—გაქვთ კიდევ რამე სათქმელი, თუ არაო?

**უფ. ალექსანდროვმა** სთქვა, რომ, რადგან უფ. პროკურორს არავითარი ახალი გამამტყუვნებელი საბუთი არ წარმოუდგენია, ამის გამო მეც არა მაქვს-რა სათქმელიო.

**უფ. კუპერნიკმა** სთქვა: „უფ. პროკურორმა აღიარა, რომ იმასაც წაუკითხავს ხვოლსონის თხზულება, მაგრამ ამ წიგნს იმაზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რომ ამ წიგნს ის არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს. ყველა, ვინც კი წაიკითხავს ამ წიგნს, დარწმუნდება, რომ იმაში გონიერება და ჭეშმარიტებაა. და ძალიან სამწუხაროა, თუ გონიერებასა და ჭეშმარიტებას უფ. პროკურორისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... რაიცა შეეხება ველინგტონის სიტყვებს, რომ მე „მეზიზღება ფრაზებიო“, ამაზე უნდა მოვახსენო უფ. პროკურორს, რომ გენერალ ველინგტონს, რომელმანც დაამარცხა ნაპოლეონ პირველი, კიდევ ჰქონდა ცოტაოდენი უფლება ამ სიტყვის თქმისა; მაგრამ უფ. პროკურორს, რომელსაც, ღვთით, ჯერ არ დაუმარცხებივართ, ამის უფლება არა აქვს...“

თავსმჯდომარის კითხვაზე, ბრალდებულებმა გამოაცხადეს, რომ იმათ არაფერი არა აქვთ სათქმელი.

სხდომა შეწყდა მეორე დღის შუა დღემდინ.

#### სხდომა 13 მარტს, დილით.

მეორე დღეს, 13 მარტს, კიდევ უფრო მომეტებული ხალხი მოაწყდა სასამართლოს.

პირველი საათის ნახევარზე მოსამართლენი გამოვიდნენ და წაიკითხეს „კითხვითი პუნქტები“, რომლის წინაამდეგ

არც პროკურორსა და არც ბრალდებულების დამცველთ არა უთქვამთ-რა.

თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ „სასამართლო მიდის განჩინების დასადგენათაო.“

სამ საათზე სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რომელიც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან: ყველა ბრალდებული ურიები გამართლებულნი იქმნენ სარრა მოდებაძის მოტაცებაში და სიკვდილში..

ზალაში შეიქნა ერთი ღრიალი და ხმაურობა, ტაშის კვრა..

პროკურორმა გამოუცხადა სასამართლოს, რომ იმას პროტესტი შეაქვს ამ გარდაწყვეტილებაზე და ითხოვს, სასამართლომ მიიღოს ღონის-ძიება, რომ „ბრალდებულთ სამართლისაგან თავის-აცდენის საშუალება მოესპოსთ.“

სასამართლომ აქვე გადაწყვიტა, რომ თითოეულ ბრალდებულმა გირაოთ ათ-ათი თუმანი უნდა შემოიტანონ და შემდეგ განთავისუფლებულნი იქმნებიან სატუსაღოდამო.

ზალაში მყოფი ებრაელნი დაფაცურდნენ და ნახევარი საათის შემდეგ ხუთი ბრალდებულისათვის 500 მანეთი წარუდგინეს სასამართლოს და ხუთი დატუსაღებული ურია გაანთავისუფლეს.

# განცხადებანი

**უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში**

**იყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.**

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: **Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквiани.**

## ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის მარტის 28-ს, იმის თანდასწრებით, უპრავაში დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) ხუთი წლის არენდით მიცემაზედ იმ საქალაქო მიწისა, რომელიც შეიცავს 600 ოთხ-კუთხ საჟენს და რომელიც მდებარებს ქალაქის II განყოფილების მე-10 უჩასტკაში, მტკვრის პირველ ჩასავალთან თ. ერისთვის სახლის პირ-და-პირ. სამზღვრები ამ ადგილისა: ჩრდილოეთით — ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩა, აღმოსავლეთითა და სამხრეთით — მდ. მტკვარი და დასავლეთით — ისარლოვის ადგილი.

(3—2)

**დაიბეჭდა და ისყიდება საქართველოს**

# კალენდარი

**ფასი 20 კაპეიკი**

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: ა. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

**ისყიდება** უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

# ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტის გადაწყვეტილებით მოწვეულია ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთ **ჩვეულებრივი საზოგადო კრება** 25-ის აპრილის დილის 11 საათზედ ქ. ქუთაისს ბანკის სადგომზე, თ. ა. ნიჟარაძის სახლში.

**განსახილველი საგნები:**

1. წარსული წლის ანგარიში.
2. არჩევა ორთა წევრთა ზედამხედველის კომიტეტისა.
3. არჩევა ერთის დირექტორისა.
4. მოხსენება ბანკის დამაფუძნებელთ სიის შედგენაზედ.
5. ხაზინაში ფულის შენახვისათვის დაჯილდოება იქ მოსამსახურე პირთა.
6. ბანკის წესდების რაოდენთამე მუხლთა შეცვლა და შევსება.
7. სახლის აშენება სადგომად ბანკისა და ქალაქის მმართველობისა.
8. მოსამზადებელის კლასის დაფუძნება.
9. ანგარიში ფულებისა, რომელიც დანიშნული იყო შესაწევნელად მოსწავლეთა.
10. რა დანიშნულება მიეცეს ბანკის სარგებლის იმ ნაწილს, რომელიც საზოგადო საჭიროებისათვის არის გადადებული.
11. ბანკის ხარჯების შეცვლაზედ.
12. არჩევა ბანკის გამგეობის თავ-მჯდომარისა, ნაცვლად გარდაცვალებულის ბესსარიონ ლევანის ძის ლოლაბერიძისა.

თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა **ასათიანი.**

(3—3)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედიი . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხომი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 22 მარტს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 30 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 40 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 20 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 55 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 50 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 40 |
| — ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| კავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშულო ფთ. | 7 | 2 |

## თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი და ბარალევიჩი — შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც — ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი — შინაგ. ა. ბახუტოვი — საბებიო და ბავშვის. პეუნოვი — თვალის.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი — შინაგ., ქიუჩარიანცი — სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი — საბებიო, ქალისა და ბავშვების.

**შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 22 Марта 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.